

მონაცემთა ბაზების აგების საფუძვლები (Access)
I სემესტრი. 2018-2019 წელი
შუალედური გამოცდის ნიმუში

კითხვა 1

მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის (მზმს) საშუალებით შესაძლებელია :

აირჩიეთ ერთი:

- a. მხოლოდ მონაცემების ძებნა და ინფორმაციის მიღება;
- b. მხოლოდ ანგარიშების ფორმირება
- c. მონაცემთა ბაზის შექმნა და მასში მოთავსებული მონაცემების დამუშავება (მანიპულაცია);
- d. არც ერთი პასუხი არ არის სწორი
- e. მხოლოდ ბაზის შექმნა;

კითხვა 2

რა ეწოდება მონაცემთა სიჭარბის აღმოფხვრის პროცესს:

აირჩიეთ ერთი:

- a. ცხრილების რეპლიკაცია;
- b. ცხრილების კონვერტაცია;
- c. ცხრილების ნორმალიზაცია;

კითხვა 3

ქვემოთ მოცემული ცნებებს შეუსაბამეთ შესაბამისი განმარტებები:

ცხრილის სტრიქონი ქმნის

Answer 1

სტრიქონების რაოდენობა განსაზღვრავს

Answer 2

ცხრილში სვეტების რაოდენობა განსაზღვრავს მის

Answer 3

კითხვა 4

რომელი ტიპის მონაცემთა ბაზას განეკუთვნება Access

აირჩიეთ ერთი:

- a. ფაილ-სერვერულს ;
- b. კლიენტ-სერვერულს

კითხვა 5

რამდენი ძირითადი ობიექტია Microsoft Access-ში?

აირჩიეთ ერთი:

- a. 6;

- b. 8;
- c. 3;
- d. 5;

კითხვა 6

ჭეშმარიტია თუ არა შემდეგი გამონათქვამი:

Microsoft Access-ის ცხრილში შესაძლებელია ველების სახელების დუბლირება

აირჩიეთ ერთი:

- a. მცდარია
- b. ჭეშმარიტია

კითხვა 7

ჭეშმარიტია თუ არა შემდეგი გამონათქვამი:

Microsoft Access-ის ცხრილში პირველადი გასაღების ველი შეიძლება შედგებოდეს როგორც ერთი, ასევე რამდენიმე ველისაგან.

აირჩიეთ ერთი:

- a. ჭეშმარიტია
- b. მცდარია

კითხვა 8

Create ჩანართის რომელი ჯგუფი უზრუნველყოფს ცხრილების მიღებას?

აირჩიეთ ერთი:

- a. Forms;
- b. Oters;
- c. Reports;
- d. Tables;

კითხვა 9

ცხრილის სტრუქტურის განსაზღვრისას რომელ სვეტში იწერება ველის სახელი?

აირჩიეთ ერთი:

- a. Default Value;
- b. Description;
- c. Data Type;
- d. Field Name;

კითხვა 10

Edit Relationships დიალგური ფანჯრის რომელი ოფცია უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზის მთლიანობის დაცვას?

აირჩიეთ ერთი:

- a. Only Include Rows Where;
- b. Enforce Referential Integrity ;
- c. Cascade Update Related Fields;
- d. Cascade Deleted Related Records;

კითხვა 11

რა ტიპის უნდა იყოს ტექსტური ველი რომელიც შეიცავს 600 სიმბოლოს?

აირჩიეთ ერთი:

- a. Date/Time;
- b. OLE Object;
- c. Short Text;
- d. Long Text;

კითხვა 12

რომელი არ არის მონაცემის ტიპი

აირჩიეთ ერთი:

- a. Calendar;
- b. Short Text;
- c. Currency;
- d. Ole Object;

კითხვა 13

ცხრილის ველის სახელი:

აირჩიეთ ერთი:

- a. შეიძლება იწყებოდეს ჰარით;
- b. შეიძლება შეიცავდეს წერტილებს (.), ძახილის ნიშანს (!) და კვადრატულ ფრჩხილებს ([]);
- c. შეიძლება შეიცავდეს ციფრებს და ჰარის;

კითხვა 14

რომელი გადამრთველის გააქტიურებაა საჭიროა, როცა ჩამონათვალის შექმნა (Lookup Wizard) ხდება უშუალოდ ამ ტიპის ველის შექმნის პროცესში?

აირჩიეთ ერთი:

- a. I want the lookup column to look up the values in a table or query;
- b. I will type in the values that I want;

კითხვა 15

რას განსაზღვრავს შემდეგი თვისებები?

- Caption Answer 1
- Indexed Answer 2
- Required Answer 3

კითხვა 16

რომელია მოცემული ფორმატის (000)000-000 შედეგი?

აირჩიეთ ერთი:

- a. არცერთი;
- b. (120)555-024;
- c. (120)55-0248;
- d. (12) 555-0248;

კითხვა 17

ცხრილის მონაცემების სორტირება ემსახურება ჩანაწერების დალაგებას ველის მნიშვნელობათა ზრდადობით ან კლებადობით შემდეგი ტიპის ველისთვის (ველებისთვის)

აირჩიეთ ერთი მაინც

აირჩიეთ ერთი ან რამდენიმე პასუხი:

- a. Long Text;
- b. Number;
- c. Currency;
- d. OLE OBJECT
- e. Short Text;

კითხვა 18

ბრძანებათა რომელი მიმდევრობით არის შესაძლებელი მოთხოვნის შექმნა კონსტრუქტორის რეჟიმში?

აირჩიეთ ერთი:

- a. Create ჩანართის Reports ჯგუფის Report საბრძანებო ლილავის გააქტიურებით;
- b. Create ჩანართის Queries ჯგუფის Query Design საბრძანებო ლილავის გააქტიურებით;
- c. Create ჩანართის Forms ჯგუფის Form საბრძანებო ლილავის გააქტიურებით;
- d. Create ჩანართის Queries ჯგუფის Query wizard საბრძანებო ლილავის გააქტიურებით;

კითხვა 19

შეუსაბამეთ მოთხოვნის ბლანკის სტრიქონებს მათი შესაბამისი ფუნქციები:

Field	Answer 1	??????...	▼
Or	Answer 2	??????...	▼
Criteria	Answer 3	??????...	▼
Sort	Answer 4	??????...	▼

კითხვა 20

ბრძანებათა რომელი მიმდევრობით არის შესაძლებელი მოთხოვნის ფორმირება ცხრილის შექმნაზე?

აირჩიეთ ერთი:

- a. Create\ Queries \Query Design ბრძანებით მოთხოვნის შექმნის შემდეგ, Query Tools Design ჩანართის Make-Table ღილაკის გააქტიურებით;
- b. Create\ Queries \Query Design\ ბრძანებით მოთხოვნის შექმნის შემდეგ, Query Tools Design ჩანართის Append ღილაკის გააქტიურებით;
- c. Create\ Queries \Query Design\ ბრძანებით მოთხოვნის შექმნის შემდეგ, Query Tools Design ჩანართის Update ღილაკის გააქტიურებით;
- d. Create\ Queries \Query Design \ ბრძანებით მოთხოვნის შექმნის შემდეგ, Query Tools Design ჩანართის Crosstab ღილაკის გააქტიურებით;

კითხვა 21

სად ხდება მოთხოვნის პარამეტრის სასურველი მნიშვნელობის შეტანა?

აირჩიეთ ერთი:

- a. Criteria სტრიქონში;
- b. show სტრიქონში;
- c. Enter parameter value ფანჯარაში;
- d. მოთხოვნის ბლანკზე;

კითხვა 22

რომელი ღილაკით ხორციელდება მოთხოვნის ფორმირება ცხრილის განახლებაზე?

აირჩიეთ ერთი:

- a. Make-table ;
- b. Append;
- c. Delete ;
- d. Update ;

კითხვა 23

რა ტიპის მოთხოვნის საშუალებით არის შესაძლებელი ახალი ცხრილის შექმნა ბაზაში არსებული ცხრილების საფუძველზე?

Answer:

კითხვა 24

ვთქვათ მოცემული გვაქვს ცხრილი Products ველებით: Product ID, Product Name, Category ID, Supplier Id, Unit Price, Units in Stock და საჭიროა ამ ცხრილიდან ყველა იმ მონაცემის წაშლა, რომელთა ერთეულის ფასიც (Unit Price) აღემატება 5 ლარს. მოქმედებათა რომელი მიმდევრობა უზრუნველყოფს ამ ამოცანის გადაწყვეტას?

აირჩიეთ ერთი:

- a. მოთხოვნის შექმნა კონსტრუქტორის რეჟიმში და მოთხოვნის სქემაზე Products ცხრილის დამატება; აღნიშნული ცხრილიდან მოთხოვნის ბლანკზე Unit Price ველის ჩასმა; Query Tools Design ჩანართიდან Delete ტიპის მოთხოვნის არჩევა, რის შემდეგაც ბლანკზე გამოჩნდება Delete სტრიქონი; Criteria სტრიქონში პირობის (>5) შეტანის შემდეგ მოთხოვნის შესრულებაზე გაშვება.
- b. მოთხოვნის შექმნა კონსტრუქტორის რეჟიმში და მოთხოვნის სქემაზე Products ცხრილის დამატება; აღნიშნული ცხრილიდან მოთხოვნის ბლანკზე (Unit Price) ველის ჩასმა; Criteria სტრიქონში პირობის (>5) შეტანა და შემდეგ Query Tools Design ჩანართიდან Delete Row ბრძანების შესრულება.
- c. მოთხოვნის შექმნა კონსტრუქტორის რეჟიმში და მოთხოვნის სქემაზე Products ცხრილის დამატება; აღნიშნული ცხრილიდან მოთხოვნის ბლანკზე აუცილებლად ყველა ველი ჩასმა; Criteria სტრიქონში პირობის (>5) შეტანა და შემდეგ Query Tools Design ჩანართიდან Delete Row ბრძანების შესრულება.

კითხვა 25

რომელი ჯგუფის სტუდენტთა სიას გამოიტანს მოთხოვნა, თუ ჯგუფის ველის შესაბამის Criteria-ში მითითებულია პირობა: Like "108*"

აირჩიეთ ერთი:

- a. მხოლოდ 108-ე ჯგუფის სტუდენტთა სიას;
- b. ყველა იმ ჯგუფის, სტუდენტთა სიას, რომელთა ნომერშიც ფიგურირებს რიცხვი 108;
- c. ყველა იმ ჯგუფის სტუდენტთა სიას, რომელთა ნომრებიც იწყება 108-ით და უცნობია მხოლოდ მე-4 სიმბოლო;
- d. ყველა იმ ჯგუფის სტუდენტთა სიას, რომელთა ნომრებიც იწყება 108-ით;

კითხვა 26

მოთხოვნის ბლანკზე რამდენი პირობის მითითებაა შესაძლებელი, რომელიც ერთდროულად უნდა იყოს დაკმაყოფილებული?

აირჩიეთ ერთი:

- a. ნებისმიერი რაოდენობით
- b. მხოლოდ ერთი პირობის
- c. იმდენის, რამდენი ველიცაა მოთხოვნაში

კითხვა 27


რომელი საბრძანებო ლილაკით ხდება მოთხოვნის პროცედურის შესრულება?

აირჩიეთ ერთი:

- a. Start;
- b. First;
- c. !(Run);
- d. Go;

კითხვა 28

მოთხოვნა, რომელიც კონსტრუქტორის რეჟიმში არის მოცემული სურათზე, რომელი ველის მიხედვით ახდენს ჩანაწერების დალაგებას ზრდადობით:



აირჩიეთ ერთი:

- a. GENDER
- b. POSITION
- c. SURNAME
- d. NAME

კითხვა 29

რომელი ჩანაწერები ამოირჩევა ცხრილიდან თუ მოთხოვნის ბლანკში „მეხსიერება“ ველის შესაბამის criteria სტრიქონში შევიტანთ პირობას >16

Table1				
ID	პროცესორი	მეხსიერება	ვინჩესტერი	Add New Field
1	Pentium	16	1 GB	
2	Pentium II	32	5 GB	
3	Pentium III	64	10 GB	
4	486DX	8	500 MB	
*	(New)			

აირჩიეთ ერთი:

- a. 2, 3;
- b. 1, 4;
- c. 1.
- d. 1, 2, 3;

კითხვა 30

რა მიმდევრობით განლაგდება ცხრილში ჩანაწერები „მეხსიერება“ ველის მნიშვნელობების ზრდის მიხედვით სორტირების შედეგად

Table1				
ID	პროცესორი	მეხსიერება	ვინჩესტერი	Add New Field
1	Pentium	16	1 GB	
2	Pentium II	32	5 GB	
3	Pentium III	64	10 GB	
4	486DX	8	500 MB	
*	(New)			

აირჩიეთ ერთი:

- a. 2, 3, 4, 1.
- b. 1, 2, 3, 4;
- c. 4, 1, 2, 3;
- d. 4, 3, 2, 1;